

საქართველოს კანონი

**საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ**

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 44-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 44. მიმოწერა გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირსა და საგადასახადო/დავის განმხილველ ორგანოს შორის“;

ბ) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადასახადის გადამხდელს/საგადასახადო აგენტს ან სხვა ვალდებულ პირსა და საგადასახადო/დავის განმხილველ ორგანოს შორის მიმოწერა (მათ შორის, ელექტრონული ფორმით საჩივრის წარდგენა) შეიძლება განხორციელდეს წერილობითი ფორმით ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევებში – ელექტრონული ფორმით. ელექტრონული ფორმით მიმოწერის შემთხვევებსა და წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

2. 146-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში (საგადასახადო დავის განმხილველ ორგანოებში) განხილვის წესით შედგება 2 ეტაპისაგან:

ა) დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში;

ბ) დავის გადაწყვეტა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ დავების განხილვის საბჭოში (შემდგომში – საბჭო).“;

ბ) მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. სხდომის მიმდინარეობისას მომჩივანს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს სხდომას პირადად ან დაიცვას მისი/მარწმუნებლის ინტერესები დისტანციურად ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით. მომჩივნის მიერ დავის განხილველ ორგანოში ელექტრონული სახით წარდგენილ ინფორმაციას გააჩნია იგივე ძალა, რაც წერილობით წარდგენილს. სხდომის ჩატარების დრო და ადგილი ეცნობება მომჩივანს ან მის წარმომადგენელს. თუ ვერ ხერხდება მომჩივანთან ან მის წარმომადგენელთან დაკავშირება, დავა მათ დაუსწრებლად განიხილება.“;

გ) მე-10 ნაწილის შემდეგ დამატოს შემდეგი შინაარსის „10¹“ ნაწილი:

„10¹. ტექნიკური საშუალებებით დავის განმხილველ ორგანოსთან ურთიერთობის, მათ შორის, საჩივრის განმხილველ ორგანოს სხდომაზე მომჩივნის დისტანციურად მონაწილეობისა და ამ პირის იდენტიფიცირების წესები განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.“;

დ) მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. თუ საჩივარი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 147-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებისა (გარდა ელექტრონული ფორმით წარდგენილი საჩივრისა) და 149-ე მუხლის (გარდა 149-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა) მოთხოვნებს, აგრეთვე საჩივარს არ ერთვის გასაჩივრებული „საგადასახადო მოთხოვნა“, საგადასახადო ორგანოს შესაგებელი, წერილობითი შეტყობინება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან საგადასახადო/საბაჟო ორგანოს მიერ გამოცემული სხვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შემოწმების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და გასაჩივრებული აქტების მომჩივნისთვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, ან საჩივარი ხელმოწერულია, მომჩივანს წერილობით მიეთითება მათ შესახებ და ხარვეზების გამოსასწორებლად მიეცემა არანაკლებ 5 კალენდარული დღისა. ამ პერიოდში დავის განხილვა ჩერდება. თუ ხარვეზი აღმოჩნდა დავის განხილვის მიზნით ჩატარებულ სხდომაზე და შესაძლებელია მისი დაუყოვნებლივ გამოსწორება, დავის განმხილველი ორგანოს თანხმობით ხარვეზი შეიძლება გამოსწორდეს სხდომის მიმდინარეობისას.“.

3. 147-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ პირი უარს აცხადებს „საგადასახადო მოთხოვნის“ შესრულებაზე ან არ ეთანხმება ამ კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, იგი ვალდებულია „საგადასახადო მოთხოვნის“/ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში, ამ კოდექსის 44-ე მუხლით დადგენილი წესით შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს ან საბჭოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი საგადასახადო ორგანოს მეშვეობით გაუგზავნოს საჩივარი, თუ დავის გადაწყვეტის ფორმად ირჩევს მის გადაწყვეტას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში განხილვის წესით, ან საგადასახადო ორგანოს გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება, თუ დავის გადაწყვეტის ფორმად ირჩევს მის გადაწყვეტას სასამართლოს მიერ.“;

ბ) მე-5 ნაწილის დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) პირის მიერ ამ კოდექსის 44-ე მუხლის შესაბამისად სარჩელის დავის განმხილველ ორგანოში ელექტრონულად რეგისტრაციისას.“;

4. 155-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ბ¹“ ქვეპუნქტი:

„ბ) საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება ამ თავის თავისებურებების გათვალისწინებით, თუ გასაჩივრება ხდება ელექტრონული ფორმით, შესაძლებელია პირდაპირ საბჭოში.“.

5. 228-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საგადასახადო ორგანოში წარდგენილია ან/და დღგ-ის დეკლარაციაში ასახულია დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურა, რომელშიც დღგ-ის თანხა აღნიშნულია არასწორად;“.

6. 248-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს ფინანსთა მინისტრს უფლება აქვს ცალკეულ საქონელზე/მომსახურებაზე, აგრეთვე ცალკეული კატეგორიის მყიდველებისათვის, შემოიღოს განსხვავებული ფორმის სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და განსაზღვროს მისი გაცემის, აღრიცხვის და გამოყენების წესი. დღგ-ის იმ გადამხდელებისათვის, რომლებიც თავიანთ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრულ აღრიცხვას ახდენენ კომპიუტრული სისტემებისა და პროგრამების გამოყენებით, შესაძლებელია შემოღებულ იქნეს კომპიუტრული წესით ამობეჭდილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც მყიდველს წარედგინება საანგარიშო პერიოდში განხორციელებული მიწოდებების მიხედვით და რომლის ნუმერაციისა და ჩათვლებში გამოყენების წესს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.“.

7. 270³-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“1. საბაჟო გადასახადის 12%-იანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება:

№	კოდი	დასახელება
1.	0105	შინაური ფრინველი ცოცხალი, ანუ შინაური ქათამი (<i>Gallus domesticus</i>), იხვები, ბატები, ინდაურები და ციცრები
2.	0201	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, ახალი ან გაცივებული
3.	0202	ხორცი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა, გაყინული
4.	0204	ხორცი ცხვრისა ან თხისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
5.	0205 00	ხორცი ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული
6.	0206	საკვები სუბპროდუქტები მსხვილ-ფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ცხენების, ვირების, ჯორების ან ჯორცხენების, ახალი, გაცივებული ან გაყინული
7.	0207	ხორცი და საკვები სუბპროდუქტები 0105 სასაქონლო პოზიციაში მითითებული შინაური ფრინველისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
8.	0208	სხვა ხორცი და ხორცის საკვები სუბპროდუქტები, ახალი, გაცივებული ან გაყინული
9.	0209 00	ღორის ქონი, მჭლე ხორცისაგან გამო-ცალკეებული, და შინაური ფრინველის ქონი, გადაუდნობელი ან რაიმე სხვა

		ხერხით ამოუღე-ბე-ლი, ახალი, გაცივებული, გაყინული, დამარილებული, მარილ-წყალში, გამხმარი ან შებოლილი
10.	0210	ხორცი და ხორცის საკვები სუბ-პროდუქტები, დამარილებული, მარილწყალში, გამხმარი ან შე-ბო-ლილი; საკვები ფქვილი ხორცისაგან ან ხორცის სუბპროდუქტებისაგან
11.	0401 10 100 00	-- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
12.	0401 20 110 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
13.	0401 20 910 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
14.	0401 30 110 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
15.	0401 30 310 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
16.	0401 30 910 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მოცულობით არა უმეტეს 2 ლ-ისა
17.	0402 10 110 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
18.	0402 10 910 00	--- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
19.	0402 21 110 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
20.	0402 21 910 00	---- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
21.	0402 29 150 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
22.	0402 29 910 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
23.	0402 91 110 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
24.	0402 91 310 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
25.	0402 91 510 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
26.	0402 91 910 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
27.	0402 99 110 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
28.	0402 99 310 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
29.	0402 99 910 00	----- პირველად საფუთავებში ნეტო-მასით არა უმეტეს 2,5 კგ-ისა
30.	0403	დო, აჭრილი რძე და ნაღები, იო-გურ-ტი, კეფირი და სხვა

		ფერმენ-ტი-რებუ-ლი ან შედედებული რძე და ნა-ღები, შესქელებული ან შეუსქე-ლებელი, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამა-ტე-ბით ან მათ გარეშე, საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე, ხილის, კაკლის ან კაკაოს დამატებით ან მათ გარეშე
31.	0407 00	ფრინველის კვერცხი ნაჭუჭით, ახალი, დაკონსერვებული ან მოხარშული
32.	0408	ფრინველის კვერცხი უნაჭუჭოდ და კვერცხის გულები, ახალი, გამხმარი, ორთქლზე ან მდუღარე წყალში მო-ხარშული, დაყალიბებული, გაყინული ან სხვა ხერხით დაკონსერვებული, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
33.	0409 00 000 00	ნატურალური თაფლი
34.	0410 00 000 00	ცხოველური წარმოშობის კვების პრო--დუქტები, სხვა ადგილას დაუსა-ხელებელი ან ჩაურთველი
35.	0701	კარტოფილი, ახალი ან გაცივებული
36.	0702 00 000 00	პომიდორი, ახალი ან გაცივებული
37.	0703	ხახვი თავიანი, ხახვი-შალოტი, ნიორი, პრასი და დანარჩენი ხახ-ვისნაირი ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
38.	0704	თავხვეული კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, კოლრაბი, კეჟერა კომბოსტო და Brassica გვარის საკვები ანალოგიური ბოსტნეული, ახალი ან გაცივებული
39.	0706	სტაფილო, თაღამი, სუფრის ჭარ-ხალი, თხის-წვე-რა, ფესვურა ნიახური, ბოლოკი და სხვა ანალოგიური საკვები ძირნაყოფები, ახალი ან გაცივებული
40.	0707 00	კიტრი და კორნიშონები, ახალი ან გაცივებული
41.	0708	პარკოსანი ბოსტნეული, დაჩურჩული ან დაუჩურჩავი, ახალი ან გაცივებული
42.	0709	ბოსტნეული დანარჩენი, ახალი ან გაცივებული
43.	0710	ბოსტნეული (ახალი ან წყალში ან ორთქლზე მოხარშული), გაყინული
44.	0711	დაკონ-სერ-ვებული ბოსტნეული, ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალითად, გოგირდის დიოქსიდით, მარილ-წყალში, გოგირდიან წყალ-ში ან სხვა დრო-ებით დამაკონსერ-ვებელ ხსნარში), ოღონდ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი
45.	0712 20 000 00	– თავიანი ხახვი
46.	0712 31 000 00	– – Agaricus გვარის სოკოები
47.	0712 32 000 00	– – ხის სოკო ან აურიკულარიები (Auricularia spp.)
48.	0712 33 000 00	– – საფუარი სოკოები (Tremella spp.)
49.	0712 39 000 00	– – დანარჩენი
50.	0713	პარკოსანი ბოსტნეული ხმელი, დაჩურჩული, სათესლე ქერქისაგან გაცლილი ან გაუცლელი, დამტვრე-ული ან დაუმტვრეველი
51.	0714	მანიოკი, მარანთა, სალეკი, მიწის მსხალი ანუ

		ტოპინამბური, ტკბილი კარტოფილი ანუ ბატატი და სხვა ანალოგიური ძირნაყოფები და ბოლქვნაყოფები სახამებლის ან ინულინის მაღალი შემცველობით, ახალი, გაცივებული, გაყინული ან ხმელი, მთელი ან დაჭრილი პატარა ნაჭრებად ან გრანულების სახით; საგოს პალმის ნაყოფის გული
52.	0802	კაკალი დანარჩენი, ახალი ან ხმელი, ნაჭუჭგაცილი ან ნაჭუჭგაუც-ლე-ლი, კანით ან კანის გარეშე
53.	0803 00	ბანანები, პლანტაინების ჩათვლით, ახალი ან ხმელი
54.	0805	ციტრუსები, ახალი ან ხმელი
55.	0806	ყურძენი, ახალი ან ხმელი
56.	0807	ნესვი (საზამთროს ჩათვლით) და პაპაია, ახალი
57.	0808	ვამლი, მსხალი და კომში, ახალი
58.	0809	გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი (ნექტარინების ჩათვლით), ქლიავი და ღოღნოშო, ახალი
59.	0810	ხილი დანარჩენი, ახალი
60.	0811	ხილი და კაკალი, წყალ-ში ან ორთქლზე თბუ-რად დამუშავებული ან დაუმუშავებელი, გაყი-ნული, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებე-ბის დამატებით ან მათ გარეშე
61.	0812	ხილი და კაკალი, დაკონსერვებული ხანმოკლე შენახვისათვის (მაგალი-თად, გოგირდის დიოქსიდით, მარილ--წყალ-ში, გოგირდოვან წყალში ან სხვა დროებით დამაკონსერ-ვე-ბელ ხსნარში), მაგრამ ასეთი სახით საკვებად უშუალო გამოყენებისათვის უვარგისი
62.	0813	ხილი ხმელი, 0801-0806 სა-სა-ქონ-ლო პოზიციების ნაყო-ფების გარდა; მოცე-მუ-ლი ჯგუფის კაკლის ან ხმელი ნაყოფების ნარევი
63.	0902	ჩაი საგემოვნო-არომატული დანამატებით ან მათ გარეშე
64.	1101 00	ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილი
65.	1102	დანარჩენი მარცვლეულის ფქვილი, გარ-და ხორბლისა ან ხორბალ-ჭვავისა
66.	1103	ბურღული, უხეშად ნაფქვავი ფქვილი და მარცვლოვანების მარცვლის გრანულები
67.	1105	კარტოფილის წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვილი, ფხვნილი, ფანტელები, გრანულები
68.	1106	წმინდად და უხეშად ნაფქვავი ფქვი-ლი და ფხვნილი 0713 სასაქონლო პოზიციის ხმელი პარკოსანი ბოსტნეულის, საგოს პალმის ნაყოფის გულის, 0714 სასაქონლო პოზიციის ძირნაყოფების ან ბოლქვნაყოფების ან 08 ჯგუფის პროდუქტებისაგან
69.	1108	სახამებელი; ინულინი
70.	1109 00 000 00	ხორბლის წებოვანა, მშრალი ან ტენიანი
71.	1208 90 000 00	- დანარჩენი
72.	1501 00	ღორის ქონი (ლიარდის ჩათვლით) და შინაური ფრინველის ქონი, 0209 ან 1503 სასაქონლო პოზიციის ქონის გარდა:

73.	1503 00	ლიარდ-სტეარინი, ლიარდ-ოილი, ოლეოსტეარინი, ოლეო-ოილი და ცხოველური ცხიმი, არაემულგირებული ან შეურეველი ან დაუმზადებელი რაიმე სხვა ხერხით:
74.	1512 11 910 00	---- მზესუმზირას ზეთი
75.	1512 19 900 00	---- დანარჩენი
76.	1601 00	ძეხვი და ანალოგიური პროდუქტები ხორცის, ხორცის სუბპროდუქტების ან სისხლისაგან; მზა საკვები პროდუქტები, დამზადებული მათ საფუძველზე
77.	1602 10 00	- ჰომოგენიზებული მზა პროდუქტები
78.	1602 20	- ნებისმიერი ცხოველის ღვიძლისაგან
79.	1602 31	-- ინდაურის
80.	1602 32	-- შინაური ქათმისაგან (Gallus domesticus)
81.	1602 39	-- დანარჩენი
82.	1602 41	-- ბარკლები და მათი გადანაჭრები
83.	1602 42	-- ბეჭის ნაწილი და მისი გადანაჭრები
84.	1602 49	-- დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
85.	1602 50	- მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცისაგან
86.	1602 90	- დანარჩენი, მზა პროდუქტების ჩათვლით, ნებისმიერი ცხოველის სისხლისაგან
87.	1701 12	-- ჭარხლის შაქარი
88.	1701 91 000 00	-- საგემოვნო-არომატული ან საღებარი დანამატებით
89.	1701 99	-- დანარჩენი
90.	1702	დანარჩენი შაქარი, ქიმიურად სუფთა ლაქტოზას, მალტოზას, გლუკოზასა და ფრუქტოზას ჩათვლით, მყარ მდგომარეობაში; შაქრის სიროფები საგემოვნო-არომატული ან საღებარი ნივთიერების დამატების გარეშე; ხელოვნური თაფლი, ნატურალურ თაფლთან შერეული ან შეურეველი; კარამელის კულერი
91.	1703	მელასა, შაქრის ამოღებით ან რაფინირების შედეგად მიღებული
92.	1704	შაქრის საკონდიტრო ნაწარმი (თეთრი შოკოლადის ჩათვლით), რომლებიც არ შეიცავენ კაკაოს
93.	1806 20 800 00	--- შოკოლადის გემოვანი გარსები
94.	1806 31 000 00	-- გულსართით
95.	1806 32	-- გულსართის გარეშე
96.	1806 90	- დანარჩენი
97.	19	მზა პროდუქტები მარცვლოვანების მარცვლის, ფქვილის, სახამებლის ან რძისაგან; ცომეული საკონდიტრო ნაწარმი
98.	2001	ბოსტნეული, ხილი, კაკა-ლი და მცენარეთა საკვებ-ბად ვარგისი სხვა ნაწილები, ძმრის ან ძმარ-მჟავას დამატებით დამზადებული ან დაკონსერვებული
99.	2002	პომიდორი, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული
100.	2003	სოკო და ტრიუფელი, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული

101.	2004	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინული, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
102.	2005	სხვა ბოსტნეული, ძმრის ან ძმარმჟავას დამატების გარეშე დამზადებული ან დაკონსერვებული, გაყინავი, 2006 სასაქონლო პოზიციის პროდუქტების გარდა
103.	2006 00	ბოსტნეული, ხილი, კაკალი, ნაყოფების ქერქი ან მცენარეთა სხვა ნაწილები, შაქრით დაკონსერვებული (შაქრის სიროფით გაჟღენთილი, მოსარკლული ან დამაქრული)
104.	2007	ჯემი, ხილის ჟელე, მარმელადები, ხილის ან კაკლის პიურე, ხილის ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით
105.	2008 19	-- დანარჩენი, ნარევების ჩათვლით
106.	2008 20	- ანანასი
107.	2008 30	- ციტრუსების
108.	2008 40	- მსხალი
109.	2008 50	- გარგარი
110.	2008 60	- ალუბალი და ბალი
111.	2008 70	- ატამი, ნექტარინების ჩათვლით
112.	2008 80	- მარწყვი და ხენდრო
113.	2008 91 000 00	-- პალმის გული
114.	2008 92	-- ნარევები
115.	2008 99	-- დანარჩენი
116.	2009	ხილის წვენები (ყურძნის ბადაგის ჩათვლით) და ბოსტნეულის წვენები, დაუდუღებელი და სპირტის დანამატების გარეშე, შაქრის ან სხვა დამატკობელი ნივთიერებების დამატებით ან მათ გარეშე
117.	2101	ყავის, ჩაის ან მატეს (პარაგვაის ჩაის) ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები და მათ ფუძეზე ან ყავის, ჩაის ან მატეს (პარაგვაის ჩაის) ფუძეზე დამზადებული მზა პროდუქტები; მოხალული ვარდკაჭაჭა და სხვა მოხალული ყავის შემცვლელი და მათი ექსტრაქტები, ესენციები და კონცენტრატები
118.	2103	პროდუქტები საწებლების მოსამზადებლად და მზა საწებლები; საგემოვნო დანამატები და შერეული საკაზმები; მდოგვის ფხვნილი და მზა მდოგვი
119.	2106	კვების პროდუქტები, სხვა ადგილას დაუსახელებელი
120.	2201 10 190 09	---- დანარჩენი
121.	2201 10 900 00	-- დანარჩენი
122.	2201 90 000 09	--- დანარჩენი
123.	2201 90 000 99	-- დანარჩენი
124.	2202	წყლები, მინერალურისა და გაზიანის ჩათვლით, შაქრის ან სხვა დამატკობელი ან საგემოვნო-არომატული ნივთიერებების დანამატების შემცველობით, და სხვა

		უალკოჰოლო სასმელები, 2009 სასაქონლო პოზიციის ხილისა და ბოსტნეულის წვეწების გარდა
125.	2203 00	ალაოს ლუდი
126.	2302	ანაცერი, ქატო და სხვა ნარჩენები, მიღებული პურეული მარცვლოვანების ან პარკოსანი კულტურების მარცვლის დაფქვის, გაცრის ან სხვა მეთოდით გადამუშავების შედეგად, არაგრანულირებული ან გრანულირებული
127.	2306 30 000 00	– მზესუმზირას თესლისაგან
128.	24	თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები
129.	25	მარილი; გოგირდი; მიწები და ქვა; საბათქაშე მასალები, კირქვა და ცემენტი
130.	3401	საპონი; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და საშუალებები, გამოსაყენებელი საპნად, ძელაკების, ნაჭრებისა ან დაყალიბებული ნაწარმის სახით, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები და კანის დასაბანი საშუალებები სითხისა ან კრემის სახით, დაფასოებული საცალო ვაჭრობისათვის, საპნის შემცველი ან მის გარეშე; ქალაღი, ბამბა, ქეჩა ან ფეტრი და უქსოვადი მასალები, გაჟღენთილი ან დაფარული საპნით ან სარეცხი საშუალებით:
131.	3402	ზედაპირულად აქტიური ორგანული ნივთიერებები (საპნის გარდა); ზედაპირულად აქტიური საშუალებები, სარეცხი საშუალებები (დამხმარე სარეცხი საშუალებების ჩათვლით) და საწმენდი საშუალებები საპნის შემცველი ან მის გარეშე (3401 სასაქონლო პოზიციის საშუალებების გარდა):
132.	3405 40 000 00	– საწმენდი პასტები და ფხვნილები და სხვა საწმენდი საშუალებები
133.	3808 99 900 00	– – – დანარჩენი
134.	3916	პლასტმასის მონოძაფი 1 მმ-ზე მეტი განივკვეთით, წნელები, ღერძები და ფასონური პროფილები, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ზედაპირით, მაგრამ სხვაგვარად დაუმუშავებელი
135.	3917	პლასტმასის მილები, მილაკები და შლანგები და მათი ფიტინგები (მაგალითად, შეერთებები, მუხლები, მილტუჩები)
136.	3918	პლასტმასის იატაკის საფრები, თვითწებვადი ან არათვითწებვადი, რულონებად ან ფირფიტებად; პლასტმასის საფრები კედლებისა და ჭერებისათვის, მოცემული ჯგუფის მე-9 შენიშვნაში მითითებული
137.	3919	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, კილიტა, ლენტები, ზოლები და დანარჩენი ბრტყელი ფორმები, თვითწებვადი, რულონებად ან არარულონებად
138.	3920	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, ზოლები ან ლენტები დანარჩენი, უფორბო და დაუარმატურებელი, არაშრეული, ფუძემშრის გარეშე და სხვა მასალებთან ანალოგიური წესით შეუერთებელი

139.	3921	პლასტმასის ფილები, ფურცლები, ფირები, ზოლები ან ლენტები დანარჩენი
140.	3922	აბაზანები, შხაპები, წყლის ჩასადინარი ნიჟარები, პირსაბანი ნიჟარები, ბიდები, უნიტაზები, დასაჯდომები და სახურავები მათთვის, წყალჩასაშვები ავზაკები და ანალოგიური სანიტარიულ-ტექნიკური ნაწარმი, პლასტმასებისაგან
141.	3923	პლასტმასის ნაწარმი საქონლის ტრანსპორტირებისათვის ან შეფუთვისათვის; პლასტმასის საცობები, ხუფები, თალფაქები და სხვა საცობი ნაწარმი
142.	3924	სასადილო და სამზარეულო ჭურჭელი და სამზარეულოს საკუთნოები, დანარჩენი საოჯახო ნივთები და ჰიგიენის ან ტუალეტის საგნები, პლასტმასისაგან
143.	3925	პლასტმასის სამშენებლო დეტალები, სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი:
144.	3926	პლასტმასის დანარჩენი ნაწარმი და 3901_3914 სასაქონლო პოზიციების დანარჩენი მასალების ნაწარმი:
145.	4407 10	– წიწვოვანი
146.	4409	დახერხილი ხე-ტყე (პარკეტის თამასებისა და ფრიზის ჩათვლით, აუწყობელი) დაპროფილებული პაგონაჟის სახით (ქიმებით, თხემებით, ღარებით, ნარანდიანი, ჩამოთლილი კიდევებით, ნახევრად მომრგვალებული ნარიმანდის შეერთების სახით, ფასონური, მომრგვალებული ან ანალოგიური) ნებისმიერი ნაწიბურის ტორსისა ან სიბრტყის გასწვრივ, გარანდული ან გაურანდავი, გახეხილი ან გაუხეხავი, ტორსული შეერთების მქონე ან არმქონე:
147.	4413 00 000 00	მერქანი დაწნეხილი, ბლოკების, ფილების, ძელების ან დაპროფილებული ფორმების სახით
148.	4418	ნაწარმი სადურგლო და სახუროო ხის, სამშენებლო, უჯრედოვანი ხის პანელების, აწყობილი ფილა-პარკეტის, სოლ-ყავრისა და სახურავის ყავრის ჩათვლით
149.	4420	ხის ნაწარმი მოზაიკური და ინკრუსტირებული; ზარდახშები და კოლოფები საიუველირო ან დანისებრი და ანალოგიური ნაწარმისათვის, ხის; სტატუეტები და სხვა დეკორატიული ნაწარმი, ხის; ავეჯის ხის საგნები, 94 ჯგუფში მიუთითებული:
150.	6801 00 000 00	ძელურა, ბორდიურის ქვები და დასაგები ფილები ბუნებრივი ქვისაგან (გარდა ფიქლისა)
151.	6802	ქვა დამუშავებული (გარდა ფიქლისა) ძეგლებისათვის ან მშენებლობისათვის და მისი ნაწარმი, გარდა 6801 სასაქონლო პოზიციის საქონლისა; მოზაიკის კუბურები და ბუნებრივი ქვის (ფიქლის ჩათვლით) ანალოგიური ნაწარმი ფუძეზე ან ფუძის გარეშე; ბუნებრივი ქვის (ფიქლის ჩათვლით) გრანულები, ნაფხვენი და ფხვნილი, ხელოვნურად შეღებილი

152.	6804	დოლაზები, სალესი ქვები, სახეხი რგოლები და ანალოგიური უკარკასო ნაწარმი, განკუთვნილი სახეხად, სალესად, საპრიალებლად, მოსარგებად ან მოსაჩუქურთმებლად, ქვები ხელით სალესად ან საპრიალებლად და მათი ნაწილები ბუნებრივი ქვის, აგლომერირებული ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზივების ან კერამიკისაგან, სხვა მასალების დეტალებთან აწყობილი ან ამ დეტალების გარეშე
153.	6805	ბუნებრივი ან ხელოვნური აბრაზიული ფხვნილი ან მარცვალი, გაჭრილ ან გაკერილ, ან განსაზღვრული ფორმის მისაღებად სხვა მეთოდით დამუშავებულ, ან დაუმუშავებელ ქსოვილის, ქაღალდის, მუყაოს ან სხვა ფუძეზე
154.	6806	წიდის ბამბა, მინერალური სილიკატური ბამბა და ანალოგიური მინერალური ბამბები; განშრევებული ვერმიკულიტი, აფუებული თიხები, აქაფებული წიდა და ანალოგიური აფუებული მინერალური პროდუქტები; თბოსაიზოლაციო, ბგერათსაიზოლაციო ან ბგერათშთამნთქმელი მინერალური მასალების ნარევები და ნაწარმი, გარდა 6811 ან 6812 სასაქონლო პოზიციის ან 69 ჯგუფის ნაწარმისა
155.	6807	ნაწარმი ასფალტის ან ანალოგიური მასალებისაგან (მაგალითად, ნავთობის ბიტუმის ან ქვანახშირის სქელფისისაგან)
156.	6808 00 000 00	პანელები, ფილები, ბლოკები და ანა-ლოგი-ური ნაწარმი ცემენტით, თა-ბაშირით ან სხვა მინერა-ლური შემკვრელი ნივთიერებებით აგლომერირე-ბული მცენარე-ული ბოჭ-კოების, ჩალის, ბურბუშე-ლას, ნაფო-ტის, ნაწილაკების, ნახერხის ან ხე-ტყის სხვა ნარ-ჩენები-საგან
157.	6809	ნაწარმი თაბაშირის ან მის ფუძე-ზე დამზადე-ბული ნარევებისაგან
158.	6810	ცემენტის, ბეტონის ან ხელოვნური ქვის ნაწარმი, დაარმატურებული ან დაუარმატურებელი
159.	6811	ნაწარმი აზბესტცემენტის, ცელუ-ლოზისბოჭკოებიანი ცემენტის ან ანალოგიური მასალებისაგან
160.	6812 91 000 00	– ტანსაცმელი, ტანსაცმლის საკუთნობები, ფეხსაცმელი და თავსაბუ-რავები
161.	6812 92 000 00	– ქაღალდი, სქელი მუყაო და ქეჩა ან ფეტრი
162.	6812 93 000 00	– – შემამჭიდროებელი მასალა წნეხილი აზბესტის ბოჭკოსაგან, ფურცლებად ან რულონებად
163.	6815	ნაწარმი ქვის ან სხვა მინერალური ნივთიერებებისა-გან (ნახშირ-ბა-დიანი ბოჭკოების, ნახშირ-ბადია-ნი ბოჭკო-ე-ბის ნაწარმისა და ტორფის ნაწარმის ჩათ-ვლით), სხვა ადგილას დაუსახელებელი ან ჩაურთველი
164.	6902 10 000 00	– Mg, Ca ან Cr ელემენტების შემცველობით 50 მას.%-ზე მეტი ცალ--ცალკე ან ერთად აღებული, MgO, CaO ან

		Cr ₂ O ₃ -ზე გადაანგარიშებით
165.	6902 20 100 00	-- კაჟმიწის (SiO ₂) შემცველობით 93 მას.% ან მეტი
166.	6902 20 910 00	--- თიხამიწის (Al ₂ O ₃) შემცველობით 7 მას.%-ზე მეტი, მაგრამ 45 მას.%-ზე ნაკლები
167.	6902 20 990 00	--- დანარჩენი
168.	6902 90 000 00	- დანარჩენი
169.	7113	საიუველირო ნაკეთობები და მათი ნაწილები ძვირფასი ლითონებისაგან ან ძვირფასი ლითონებით მიტკეცილი ლითონებისაგან
170.	7115 90 100 00	-- ძვირფასი ლითონებისაგან
171.	7116	ნაკეთობები ბუნებრივი ან კულტივირებული მარგალიტის, ძვირფასი ან ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან (ბუნებრივი, ხელოვნური ან რეკონსტრუირებული)
172.	7117	ბიჟუტერია
173.	7214 10 000 00	- ნაჭედი
174.	7214 20 000 00	- ამონაღებების, შვერილების, ნაღარების ან გაგლინვის პროცესში მიღებული სხვა დეფორმაციების მქონე ან გლინვის შემდეგ გაღუნული
175.	7214 30 000 00	- ავტომატური ფოლადისაგან დანარჩენი
176.	7214 91	-- მართკუთხა (კვადრატულის გარდა) განივი კვეთის
177.	7214 99	-- დანარჩენი
178.	7308	ლითონკონსტრუქციები შავი ლითონებისაგან (9406 სასაქონლო პოზიციაში მოყვანილი ასაწყობი სამშენებლო კონსტრუქციების გარდა) და მათი ნაწილები (მაგალითად, ხიდები და მათი სექციები, რაბის ჭიმკრები, კომპები, ცხური ანძები, სახურავის საფრები, სამშენებლო წამწეები, კარები, ფანჯრები და მათი ჩარჩოები, კარების ზღურბლები, ჟალუზები, ბალუსტრადები, ბჯენები და სვეტები); ფურცლები, წნელები, კუთხოვანები, ფასონური პროფილები, მილები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან, ლითონკონსტრუქციებში გამოსაყენებელი
179.	7309 00 100 00	- აირებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა)
180.	7309 00 300 00	-- მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით
181.	7309 00 590 00	--- არა უმეტეს 100 000 ლიტრისა
182.	7309 00 900 00	- მყარი ნივთიერებებისათვის
183.	7310	ცისტერნები, კასრები, დოლები, კანისტრები, ყუთები და ანალოგიური ტევადობები შავი ლითონებისაგან, ნებისმიერი ნივთიერებისათვის (შეკუმშული ან გათხევადებული აირის გარდა), არა უმეტეს 300 ლ ტევადობისა, მოპირკეთებით ან თბოიზოლაციით ან მათ გარეშე, მაგრამ მექანიკური ან თბოტექნიკური დანადგარების გარეშე
184.	7311 00	ტევადობები შეკუმშული ან გათხევადებული აირებისათვის, შავი ლითონებისაგან

185.	7312	დაგრეხილი მავთული, გვარლები, ბაგირები, წნული ზონრები, ჯამბარები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან, ელექტროიზოლაციის გარეშე
186.	7314	ლითონური ქსოვილი (უწყვეტი ლენტების ჩათვლით), მავთულის გისოსები, ბადეები და შემოსალობები, შავი ლითონებისაგან; გამცრავ-გამწოვი ფურცელი შავი ლითონებისაგან:
187.	7315	ჯაჭვები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან
188.	7317 00	ლურსმნები, კნოპები, ხაზვის კნოპები, დაღარული ლურსმნები, კავები (8305 სასაქონლო პოზიციაში ჩართულების გარდა) და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან, თავებით და უთავებოდ, სხვა მასალებისაგან, სპილენძისთავიანი ნაწარმის გარდა
189.	7318	ხრახნები, ჭანჭიკები, ქანჩები, ყრუ ჭანჭიკები, ჩასახრახნი კაკვები, მოქლონები, სოგმანები, ჭილიპყურები, საყელურები (ზამბაროვანის ჩათვლით) და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან
190.	7320	ზამბარები, რესორები და ფურცლები მათთვის შავი ლითონებისაგან
191.	7321	ღუმლები გასათბობი, ღუმლები გასათბობ-სახარშავი და საკვების მოსამზადებელი (ცენტრალური გათბობის დამხმარე ქვებიანი ღუმლების ჩათვლით), ფრიტურნიცები, მაყალები, ქურის სანთურები, საკვების გასათბობი გამათბობლები და ანალოგიური საყოფაცხოვრებო არაელექტრული მოწყობილობები და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან
192.	7323	ნაწარმი სუფრის, სამზარეულო ან სხვა ნაწარმი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის და მათი ნაწილები შავი ლითონებისაგან; „მატყლი“ შავი ლითონებისაგან; სამზარეულო ჭურჭლის საწმენდი ნეჭა, გასაწმენდი ან გასაპრიალებელი ბალიშები, ხელთათმნები და ანალოგიური ნაწარმი შავი ლითონებისაგან
193.	8544	სადენები იზოლირებული (ემალირებულის ან ანოდირებულის ჩათვლით), კაბელები (კოაქსიალურის ჩათვლით) და დანარჩენი იზოლირებული ელექტრული გამტარები შემაერთებელი სამარჯვებით ან მათ გარეშე; ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელები, შემდგარი ინდივიდუალურგარსიანი ბოჭკოებისაგან, მიუხედავად იმისა, არის თუ არა აწყობილი ელექტრულ გამტარებთან ან შემაერთებელ სამარჯვებთან

2. საბაჟო გადასახადის 5%-იანი განაკვეთით იბეგრება შემდეგი საქონლის საბაჟო ღირებულება: (18.12.2009. N2387 ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.)

№	კოდი	დასახელება
---	------	------------

1	0203	ხორცი ღორისა, ახალი, გაცივებული ან გაყინული
2	0406	ყველი და ხაჭო
3	3305	თმის საშუალებები:

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი